

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს, საფუძვლებს და მექანიზმებს.
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულების მოქმედება ვრცელდება კოლეჯში დასაქმებულ პირებზე, პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე, ნებისმიერ სხვა მონაცემთა სუბიექტზე, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება კონკრეტული ვალდებულებიდან/ურთიერთობიდან გამომდინარე და ასევე უსაფრთხოების მიზნით, კოლეჯში განხორციელებული ვიდეოთვალთვალის არეალში მოხვედრილ სხვა პირებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. კოლეჯი - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.
2. პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. მსმენელი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე.
4. პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.
5. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.
6. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი – მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა.
7. ბიომეტრიული მონაცემი – ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევით მახასიათებელთან (როგორცაა, მაგალითად: სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.
8. მონაცემთა დამუშავება - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.
9. მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი - პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, დირექტორი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და/ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.
10. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება.
11. მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ.
12. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.
13. თანდაამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები – დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.
14. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი.
15. მონაცემთა მიმღები – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა.
16. შესამე პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დამუშავოს მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით.
17. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - კოლეჯის მიერ დანიშნული პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს.
18. ვიდეომონიტორინგი – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა.

მუხლი 3. მონაცემთა დაცვის პრინციპები და მიზნები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით.
2. მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეუღობად.
3. მონაცემები გროვდება/ მოიპოვება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.
4. მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის თანაზომიერი, რომლის მისაღწევადც მუშავდება ისინი.

5. მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.
6. მონაცემები შეიძლება შეინახოს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.
7. მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას უნდა მიიღოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებას, შემთხვევით დაკარგვას, განადგურებას ან/და დაზიანებას.
8. კოლეჯში დამუშავებული მონაცემები გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, კერძოდ:
 - ა) ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსების ორგანიზება, კოლეჯში დასაქმებული პირების პირადი საქმეების მართვა, პერსონალის შეფასება და გამოკითხვა;
 - ბ) საქმისწარმოების უზრუნველყოფა და დოკუმენტბრუნვა, ფიზიკური პირების განცხადებების განხილვა, პერსონალის პროფესიული განვითარების გაუმჯობესება, კონსულტირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, კოლეჯის წარმომადგენლობა სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - გ) სასწავლო პროცესში არსებული შეფასებების წარმოება, სხვადასხვა მიზნით წარმოებული კვლევის ანალიზი;
 - დ) კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
 - ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
9. თუ მონაცემები უნდა დამუშავდეს მათი შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით და დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონის საფუძველზე არ ხორციელდება, მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავების საკითხის გადაწყვეტისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:
 - ა) არსებობს თუ არა მონაცემთა შეგროვების/მოპოვების თავდაპირველ მიზანსა და შემდგომ მიზანს შორის კავშირი;
 - ბ) მონაცემთა შეგროვებისას/მოპოვებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი;
 - გ) აქვს თუ არა მონაცემთა სუბიექტს მის შესახებ მონაცემთა შემდგომი დამუშავების გონივრული მოლოდინი;
 - დ) ხორციელდება თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება;
 - ე) მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგები, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას;
 - ვ) მონაცემთა ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების არსებობა.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. კოლეჯი პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს:
 - ა) თუ მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
 - ბ) თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად;
 - გ) თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
 - დ) თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კოლეჯისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
 - ე) კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
 - ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
 - ზ) თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად);
 - თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
 - ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
 - კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

მუხლი 5. მონაცემთა კატეგორია

1. კოლეჯმა მონაცემთა სუბიექტთან ურთიერთობის ხასიათიდან და მონაცემთა დამუშავების მიზნიდან გამომდინარე შეიძლება დაამუშაოს შემდეგი პერსონალური მონაცემები:
 - ა) პროფესიული სტუდენტის/მსმენლის/აპლიკანტის შესახებ:
 - ა.ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა;
 - ა.ბ) საკონტაქტო მონაცემები - მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა;
 - ა.გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით, სამხედრო ვალდებულების შესახებ, ეთნიკური კუთვნილება, ნასამართლობა, ბიომეტრიული მონაცემები, შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად მოპოვებული ინფორმაცია;
 - ა.დ) პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და შედეგების/მოღვაწეობის დადასტურების აღრიცხვა;
 - ა.ე) სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიღებული/შექმნილი ნებისმიერი ინფორმაცია (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვა).
 - ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შესახებ:
 - ბ.ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
 - ბ.ბ) საკონტაქტო მონაცემები - მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა.
 - გ) დასაქმებული პირების შესახებ:
 - გ.ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ.ბ) საკონტაქტო მონაცემები - მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა;
 - გ.გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - ინფორმაცია ნასამართლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფოტოსურათი;
 - გ.დ) ინფორმაცია განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ;
 - გ.ე) შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მიღებული/შექმნილი ნებისმიერი ინფორმაცია (დისციპლინური ღონისძიების შესახებ, წახალისება, დაწინაურება, გათავისუფლება და სხვა).

მუხლი 6. პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. კოლეჯი, იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლის დამუშავების საფუძვლები არ არის კანონით გაწერილი ამუშავებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

2. კოლეჯი ამუშავებს პერსონალური მონაცემებს იმ მოცულობით, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის, ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლის ბრძანების გამოსაცემად.
3. კოლეჯი პროფესიული სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, როგორცაა მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის მიმართვისა და მისი თანხმობის საფუძველზე, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
4. კოლეჯი უფლებამოსილია დაამუშავოს მონაცემები, პლაგიატიზმის პრევენციისა და მისი გამოვლენის მიზნით და აუცილებლობის შემთხვევაში, კრიმინალის გამოვლენის ან/და კოლეჯის წესრიგის/მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით იქონიოს წვდომა კოლეჯის დონეზე შექმნილ მემორანდუმზე (profgdani.ge).
5. კოლეჯი უფლებამოსილია დაამუშავოს პერსონალური მონაცემები დისციპლინური ღონისძიებების გატარების დროს. აგრეთვე, კურსდამთავრებულებისათვის კარიერული ხელშეწყობის მიზნებისათვის ხელახლა დაამუშავოს პერსონალური მონაცემები და აწარმოოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მარკეტინგის კვლევა
6. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დაამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დაამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7. არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8. კოლეჯი ამუშავებს არასრულწლოვან პირთა მონაცემებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
9. კოლეჯი მუდმივად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგსა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დასაქმებულისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინფორმირებას, ხელშეკრულებითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების მეშვეობით.
10. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები სწავლის შედეგის შეფასებას ეცნობიან და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემები გროვდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კონფიდენციალობის სრული დაცვით.
11. კოლეჯი ავტორიზაციის დებულებით გაწერილი ვადების დაცვით უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულთა, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა ინფორმაციის დამუშავებას კარიერული წინსვლისა და დასაქმების მიზნებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებების შესახებ დოკუმენტაციის დამუშავებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებისათვის და სხვა.

მუხლი 7. მონაცემთა მიღების წყაროები

კოლეჯისათვის პერსონალურ მონაცემთა მიღების წყაროებია:

- ა) მონაცემთა სუბიექტის (მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) მიერ მონაცემების მიწოდება;
- ბ) პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ან ელექტრონული რეესტრის მონაცემთა ერთიანი ბაზიდან მონაცემების მიღება;
- გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მონაცემთა შექმნა (პირადი საქმის, ელექტრონული რეესტრების და სხვ. საშუალებებით);
- დ) ვიდუოთვალთვალის განხორციელების გზით მოპოვებული მონაცემები;
- ე) ამ წესით განსაზღვრული მიზნებით ნებისმიერი კანონიერი წყაროდან ინფორმაციის მოპოვება.

მუხლი 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯი მოთხოვნის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტისათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:
 - ა) კოლეჯის და/ან ასეთის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის და/ან თანადამუშავებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და რეგისტრაციის მისამართი;
 - ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნები;
 - გ) დამუშავებულ მონაცემთა კატეგორიები;
 - დ) მონაცემთა დამუშავების საფუძვლები;
 - ე) მონაცემთა მიღების ვინაობა ან მიმღების კატეგორია, რომელსაც გადაეცა ან მომავალში გადაეცემა მონაცემები;
 - ვ) მონაცემთა შენახვის ვადა, ან თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები;
 - ზ) მონაცემთა სუბიექტის უფლების არსებობის შესახებ, რომ მას შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა, მოითხოვოს მათი გასწორება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ასევე მონაცემთა გადატანა;
 - თ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შესახებ;
 - ი) თუ მონაცემთა შეგროვება არ ხდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია მათი შეგროვების წყაროს შესახებ;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას განიხილავს და ინფორმაციას გასცემს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
3. მონაცემთა სუბიექტი თავად ირჩევს ინფორმაციის მიწოდების ფორმას.
4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კოლეჯს მის შესახებ დამუშავებული მცდარი/არაზუსტი მონაცემების დაუყოვნებლივ გასწორება, გაახლება ან მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არასრული მონაცემების შეცვლა, მათ შორის, დამატებითი ცნობის/დოკუმენტის წარდგენის გზით.
5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მისი მონაცემების დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.
6. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება გააჩნია მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს.
7. სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია მათ მშობლებს მიეწოდებათ, პროფესიული სტუდენტის წერილობითი ან უშუალოდ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან დაფიქსირებული ზეპირსიტყვიერი თანხმობის შემთხვევაში.
8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.
9. კოლეჯი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს გააცნოს ის სამართლებრივი შედეგები, რომელსაც გამოიწვევს მონაცემთა გასწორება/განახლება/დამატება/დაბლოკვა/განადგურება.
10. იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებისათვის განსახორციელებელი ქმედებები მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული სხვა უწყებების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სხვა) უფლებამოსილებებს განეკუთვნება, კოლეჯი უფლებამოსილია აღნიშნული წერილობითი განუმარტოს მონაცემთა სუბიექტს.

მუხლი 9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:
 - ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

- ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;
 - გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
 - დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტირებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;
 - ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
 - ვ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.
2. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა და დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყონ იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყონ მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.

მუხლი 10. მონაცემთა გამჟღავნება

1. კოლეჯის მიერ დამუშავებული მონაცემები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოცულობით შეიძლება გადაეცეს შემდეგ მესამე პირებს:
 - ა) სამართალდამცავ ორგანოებს;
 - ბ) სასამართლოს;
 - გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს;
 - დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანოებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის გამჟღავნებისას კოლეჯი ვალდებულია აღრიცხოს: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია ინახება მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.

მუხლი 11. მონაცემთა შენახვა

1. კოლეჯი ინახავს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული, კანონიერი მიზნის მისაღწევად და მონაცემთა შენახვის ვადებისა და წესის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს.
2. დოკუმენტის კლასიფიკაცია, შენახვისა და განადგურების წესი განსაზღვრულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2018 წლის 2 მაისის №29 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ არქივის წარმოების დებულებით“.

მუხლი 12. ვიდეომონიტორინგი

1. კოლეჯი, უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, ვიდეოსათვალთვალო სისტემას იყენებს კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად - საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აგრეთვე, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისთვის. საჭიროების შემთხვევაში გამოცდის/ტესტირების/აპლიკანტთა შერჩევის მიზნებისთვის, აგრეთვე სხვა საჯარო ან/და სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად.
2. ვიდეომონიტორინგის მოცულობა, ხანგრძლივობა, ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები გაწერილია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესით“.
3. მონაცემთა დამუშავების შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების მიზნით შენობაში თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც მოიცავს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს.
4. კოლეჯი უზრუნველყოფს იმ თანამშრომელთა სათანადო წესით ინფორმირებას, რომელთა სამუშაო სივრცე ექვევა ვიდეოსათვალთვალო სისტემის ხედვის არეალში.

მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება

1. კოლეჯი მონაცემთა უსაფრთხოებას, მათ დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან უზრუნველყოფს სათანადო ზომების მიღებით.
2. კოლეჯი იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.
3. კოლეჯის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის საშუალებით. აკრძალულია მომხმარებლის სახელისა და პაროლის ვინმესთვის გამჟღავნება/სარგებლობაში გადაცემა.
4. კოლეჯის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება დასაქმებულ პირებს გააჩნიათ იმ შემთხვევაშიც თუ ისინი აღარ იქნებიან დასაქმებულნი კოლეჯში.

მუხლი 14. მონაცემებზე წვდომა

1. თანამშრომლები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. თანამშრომლებს წვდომა აქვთ მხოლოდ იმ მონაცემებზე და იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათი მოვალეობების შესასრულებლად. თანამშრომლის შევბულების ან სხვა მიზეზით მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვალეობის შემსრულებელი მისი ზეპირი თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია დოკუმენტებზე წვდომასა და გამოყენებაზე.
3. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაზე (Eflow) წვდომა აქვს თანამშრომელს, რომელიც სარგებლობს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით.
4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელისა და თანამშრომლის პირად საქმეებზე (მატერიალური დოკუმენტები) და/ან პირად საქმეში არსებულ საქმის მასალებზე წვდომის უფლება აქვს საქმისმწარმოებელს, ხოლო სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც გამომდინარეობს თანამშრომლის ფუნქცია - მოვალეობიდან, შესაბამის - თანამშრომელს.

მუხლი 15. თანამშრომელთა ვალდებულებები

1. კოლეჯის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია:
 - ა) დაამუშაოს მხოლოდ ის მონაცემი, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად;
 - ბ) დაიცავს მონაცემის კონფიდენციალურობა და არ გამოიყენოს მონაცემები პირადი, არასამსახურებრივი მიზნებისთვის;
 - გ) არ გახადოს მონაცემები ხელმისაწვდომი არაუფლებამოსილი პირებისათვის, მათ შორის მონაცემთა უყურადღებოდ დატოვების და/ან არაუფლებამოსილი პირების თანდასწარებით განხილვის გზით;
 - დ) კოლეჯში გამოყენებულ ელექტრონულ რესურსებთან და/ან სისტემებთან და მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომისთვის გამოიყენოს მხოლოდ მასზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელი და პაროლი;

ე) დაიცვას მომხმარებლის სახელისა და პაროლის კონფიდენციალურობა, არ გაუზიაროს აღნიშნული ინფორმაცია მესამე პირებს და არც სხვაგვარად გახადოს ის ხელმისაწვდომი, მათ შორის უყურადღებოდ დატოვების, საჯარო და/ან სხვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას ჩანიშვნის გზით;

ვ) გამოიყენოს რთული პაროლები და არ გამოიყენოს ერთი და იგივე პაროლი სხვადასხვა ელექტრონული სისტემებისათვის;

ზ) სასწავლო პროცესის მიზნებისათვის ისარგებლოს მხოლოდ ოფიციალური ელექტრონული რესურსებით და არ გამოიყენოს სხვადასხვა სოციალური პლატფორმები პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით დასამუშავებლად, მისაღებად, გასაგზავნად, გასაზიარებლად და ა.შ.

2. წინამდებარე წესის დარღვევა წარმოადგენს კოლეჯის შინაგანაწესის დარღვევას და შესაძლოა მისთვის გათვალისწინებული იყოს შესაბამისი დისციპლინური ზომი.

16. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

1. მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
 - გ) მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა – მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასაღებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);
 - დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ე) მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;
 - ვ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
 - ზ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ ინფორმაციას.
3. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
4. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.
5. თუ ინციდენტი ძალადი აღბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) ინციდენტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების ზოგადი აღწერა;
 - ბ) ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
 - გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა პირის საკონტაქტო მონაცემები.
6. თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გაავრცელოს საჯაროდ ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც ჯეროვნად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულება მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3. წინამდებარე დებულების მე-9 მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 1-ლი ივნისიდან.